ბ რ ძ ა ნ ე ბ ა #15-03/06-01

ქ.თბილისი 1 ივნისი, 2020 წელი

ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის 4.6 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის # 322 და 2020 წლის 22 მაისის # 321 დადგენილებებისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის #01-227/ო ბრძანების პირველი და მე-10 დანართების შესაბამისად,

SCIENTIA • LABOR • LIBERTAS
ᲐᲒᲠᲐᲠᲣᲚᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ
ᲐᲒᲠᲐᲠᲣᲚᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ
ა(ა)იპ
კახა ბენდუქიძის კამპუსი
დავით აღმაშენებლის
ხეივანი #240, 0159,
თბილისი, საქართველო

AGRICULTURAL UNIVERSITY
OF GEORGIA
NNLE
Kakha Bendukidze Campus
#240 David Aghmashenebeli
Alley, 0159, Tbilisi, Georgia

+(995 32) 2 200 901
info@agruni.edu.ge
www.agruni.edu.ge

ᲕᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑ:

1. სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით დამტკიცდეს საინჟინრო კონტროლის ღონისძიებები და ადმინისტრაციული კონტროლის გეგმა თანდართული დანართების შესაბამისად.

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს უნივერსიტეტის კანცლერს ალექსანდრე კაჭარავას.

3. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

დანართი 47 ფურცლად

რექტორი ვახტანგ ლეჟავა

საინჟინრო კონტროლის ღონისძიებები და ადმინისტრაციული კონტროლის გეგმა

COVID-19 ვირუსიდან გამომდინარე დამტკიცდეს საინჟინრო კონტროლის და ადმინისტრაციული კონტროლის გეგმა

1. ეფექტური კონტროლის მიზნით საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში (შემდგომში უნივერსიტეტი) შესვლა განხორციელდეს მხოლოდ ცენტრალური ფოიეს გამოყენებით, უნივერსიტეტის კულინარიის აკადემიაში ჩრდილოეთის მხრიდან ე.წ. უკანა შესასვლელი (რკინის) კარით და მევენახეობა-მეღვინეობის აკადემიაში ცენტრალური შესასვლელით ჩრდილოეთის მხრიდან. ყველა დანარჩენი შესასვლელი უნდა იყოს დაიკეტილი.

2. უნივერსიტეტის ცენტრალურ ფოიეში, კულინარიის აკადემიისა და მევენახეობა-მეღვინეობის აკადემიის მოქმედ შესასვლელებში უნდა განთავსდეს დენზობარიერები, იმგვარად რომ ყველა შემსვლელს მოუწიოს ამ ადგილის გავლა.

3. განხორციელდეს ორმაგი თერმოსკრინიგი. პირველი თერმოსკრინიგი უნივერსიტეტის ცენტრალურ ფოიეში და მეორე თერმოსკრინინგი თავად ლაბორატორიაში, პრაქტიკული მეცადინეობების და საგამოცდო სივრცეებში შესვლისას.

4. თვალსაჩინო ადგილებში, ლაბორატორიებში, პრაქტიკული მეცადინეობების და საგამოცდო სივრცეებში გამოიკრას ინფორმაცია: COVID-19 ვირუსთან დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებების (დანართი #1) და კორონავირუსთან დაკავშირებით უნივერსიტეტის შენობაში მოქმედი სავალდებულო წესების (დანართი #2) შესახებ.

5. უნივერსიტეტის შენობაში შემოსვლისას და შენობაში ყოფნის დროს მ.უ. ლაბორატორიული/პრაქტიკული მეცადინეობისას და გამოცდის დროს ყველა პირისთვის სავალდებულოა პირბადის ტარება.

6. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პირბადით იმ სტუდენტებს და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ვისაც უნივერსიტეტში შემოსვლისას თან არ ექნება პირბადე.

7. დაცული უნდა იყოს ნაკადების კონტროლი უსაფრთხო დისტანციის დაცვით (არა უმცირეს 2 მეტრი).

8. შენობებში მოქმედ შემოსასვლელ კარზე და თვალსაჩინო ადგილებში განთავსდეს გამაფრთხილებელი ნიშნები პირბადის ტარების და უსაფრთხო დისტანციის აუცილებლობის შესახებ (დანართი #3).

9. ლაბორატორიული, პრაქტიკული მეცადინეობების და საგამოცდო სივრცეების კარებთან გამოიკრას ყოველ კონკრეტულ სივრცეში დასაშვებ პირთა მაქსიმალური რაოდენობა.

10. სველ წერტილებში თვალსაჩინო ადგილას გამოიკრას ხელების წყლითა და საპნით დაბანის ინსტრუქცია (დანართი #3ა)

11. დაშვებული სასწავლო პროცესის ზედამხედველებმა (ლექტორებმა, ლაბორანტებმა, საგამოცდო სივრცის ზედამხედველებმა) აკონტროლონ ლაბორატორიულ, პრაქტიკული მედადინეობების და საგამოცდო სივრცეებში დაშვებული პირების რაოდენობა და დარღვევის შემთხვევა დაუყოვნებლივ აცნობონ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას.

12. შეჩერდეს უნივერსიტეტში არსებული ლიფტების ფუნქციონირება, გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ შეზღუდული შესაძლების მქონე პირებზე სპეციალური დაშვების ბარათის გააქტიურების გზით.

13. შეჩერდეს კაფეტერიის ფუნქციონირება ამ წესების მოქმედების პერიოდში;

14. შეჩერდეს სპორტული მოედნის და სატრენაჟორო დარბაზის ფუნქციონირება ამ წესების მოქმედების პერიოდში;

15. შეჩერდეს უნივერსიტეტში არსებული საერთო გამოყენების წყლის დისპენსერების ფუნქციონირება.

16. ეფექტური დეზინფექციის მიზნებიდან გამომდინარე, გაძლიერდეს და გახშირდეს სველი წერტილების სადეზინფექციო სამუშაოები იმ ზონებში, სადაც მიმდინარეობს ლაბორატორიული მეცადინეობები, პრაქტიკული მეცადინეობები ან გამოცდები, ხოლო სხვა სივრცეებთან არსებული სველი წერტილები დაიკეტოს.

17. ყველა ლაბორატორიული თუ პრაქტიკული მეცადონეობის და საგამოცდო სივრცეებში განთავსდეს ხელის დეზინფექციისათვის საჭირო საშუალება (სულ მცირე 70% ალკოჰოლის შემცველი). აღნიშნულ სივრცეებში შესვლისას ყველა ვალდებულია დაიმუშაოს ხელები ამ სადეზინფექციო საშუალებით.

18. ლაბორატორიულ თუ პრაქტიკული მეცადონეობის და საგამოცდო სივრცეებში ხელის სადეზინფექციო საშუალებასთან გომოიკრას ინსტრუქცია სპირტის შემცველი ხსნარით ხელების სწორად დამუშავების შესახებ (დანართი #3ბ).

19. პერიოდულად, დღეში რამდენჯერმე, მინიმუმ ყოველი სამეცადინო და საგამოცდო სესიის შემდეგ განხორციელდეს ლაბორატორიების და საგამოცდო სივრცეების ბუნებრივი ვენტილაცია.

20. ლაბორატორიაში, პრაქტიკული მეცადინეობების და საგამოცდო სივრცეებში სტუდენტები განთავსდნენ იმგვარად, რომ არ აღმოჩნდნენ ერთმანეთის და ლექტორის პირისპირ.

21. სამუშაო ადგილებზე განთავსდეს ხშირად შეხებადი ზედაპირების დასამუშავებელი სადეზინფექციო საშუალებები და უზრუნველყოფილი იქნეს მათი სწორად მოხმარების პრაქტიკა სტანდარული ოპერაციული პროცედურის დანართ #4-ის (SOP-04/2018 ლაბორატორიული აღჭურვილობის, მასალების და სამუშაო ზედაპირების რუტინული დეკონტამინაცია) შესაბამისად.

22. განხორციელდეს სახელურების, მოაჯირების, კარების სახელურების და ხშირად გამოყენებული ზედაპირების სადეზინფექციო ხსნარით (სულ მცირე 70% ალკოჰოლის შემცველი) დამუშავება პერიოდულად (2-საათიანი ინტერვალებით).

23. ლაბორატორიული/პრაქტიკული მეცადინეობისას პირბადესთან ერთად სავალდებულოა პირადი დაცვის სხვა საშუალებების გამოყენება, კერძოდ, ლაბორატორიული ხალათი, სათვალე, საჭიროების შემთხვევაში, ხელთათმანი და ბახილი სტანდარული ოპერაციული პროცედურების დანართ #5-ის (SOP-01/2018 პირადი დაცვის აღჭურვილობა) და დანართ #6-ის (SOP-05/2018 ზოგადი ჰიგიენის წესები ლაბორატორიაში) შესაბამისად.

24. ლაბორატორიული, პრაქტიკული მედადინეობის და საგამოცდო სივრცეებში, ასევე, სველ წერტილებში განთავსდეს დახურული კონტეინერები ერჯერადი

ხელსახოცებისა და ჰიგიენური ნაჩენების განსათავსებლად. კონტეინერებში ჩაფენილი უნდა იქნას ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი. ნარჩენების გატანა უნდა მოხდეს ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენებით.

25. ლაბორატორიული, პრაქტიკული მეცადინეობისას სახიფათო ნარჩენების გატანა უნდა მოხდეს სტანდარული ოპერაციული პროცედურის დანართ #7-ის (SOP-03/2018 ლაბორატორიებში სახიფათო ნარჩენების მარკირების, შეგროვების და განადგურების წესების) შესაბამისად.

26. ლაბორატორიის მაგიდებზე განთავსდეს ხელის და სამუშაო ზედაპირების სადეზინფექციო საშუალება (სულ მცირე 70% ალკოჰოლის შემცველი).

27. შეიზღუდოს არსებულ საგამოცდო სივრცეებში საგამოცდო ადგილების რაოდენობა მოქმედი წესების შესაბამისად;

28. ნაკადების დეცენტრალიზაციის და დაშვებული სიმჭიდროვის უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ამ წესების მოქმედების პერიოდში მოეწყოს ახალი (დამატებითი) საგამოცდო სივრცე მოქმედი წესების შესაბამისად;

29. საგამოცდო სივრცეებში სესიებს შორის განხორციელდეს სადეზინფექციო სამუშაოები დანართ #4-ის (SOP-04/2018 ლაბორატორიული აღჭურვილობის, მასალების და ზედაპირების რუტინული დეკონტამინაცია) შესაბამისად.

30. სასწავლო პროცესის დაშვებული კომპონენტები ჩატარდეს მხოლოდ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ განსაზღვრულ აუდიტორიებსა და სივრცეებში.

31. ვირუსის სიმპტომების აღმოჩენის შემთხვევაში პერსონალმა უნდა იმოქმედოს საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმის შესაბამისად (დანართი # 8)

ახალი კორონავირუსი (COVID-19)

ახალი კორონავირუსისგან თავის დასაცავად საჭიროა მიჰყვეთ გრიპისა და სხვა რესპირაციული დაავადებების პრევენციის ზოგად რეკომენდაციებს:

- ხშირად დაიბანეთ ხელები საპნითა და წყლით არანაკლებ 20 წამის განმავლობაში ან გამოიყენეთ სპირტის შემცველი ხსნარი;
- ნუ შეეხებით თვალებს, ცხვირსა და პირს დაუბანელი ხელით;
- მოერიდეთ მჭიდრო კონტაქტს დაავადებულ ადამიანთან;
- ხველისა და ცემინებისას აიფარეთ პირსა და ცხვირზე ერთჯერადი ცხვირსახოცი ან მოხრილი იდაყვი.

რა არის ახალი კორონავირუსის სიმპტომები?

ახალი კორონავირუსის დიაგნოზის მქონე პაციენტებს აღენიშნებათ რესპირაციული დაავადებების სიმპტომები, როგორიცაა:

ცხელება | ხველა | სუნთქვის გაძნელება | მძიმე დაავადება

დაიცავით პრევენციული ღონისძიებები, რაც მოწოდებულია ჯანდაცვის პროფესიონალების მიერ

მეტი ინფორმაციისთვის, ეწვიეთ:

StopCoV.ge; moh.gov.ge; ncdc.ge ან www.facebook.com/ncdcgeorgia
ან დარეკეთ ცხელი ხაზის ნომერზე 116 001; 15 05

World Health Organization

NCDC
GEORGIAN NATIONAL CENTER FOR DISEASE CONTROL AND PUBLIC HEALTH

თავისუფალი უნივერსიტეტი

აგრარული უნივერსიტეტი

კახა ბენიძეს კამპუსი

თავისუფალ და აგრარულ უნივერსიტეტებში კორონავირუსთან დაკავშირებით მოქმედი სავალდებულო წესები

ვირუსის სიმპტომების შემთხვევაში დარჩით სახლში და დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს

- უნივერსიტეტის შენობაში შესვლისას და შენობაში ყოფნის დროს აუცილებლად გაიკეთეთ პირბადე;
- კამპუსში შესვლისას გადაიარეთ სპეციალურად მოწყობილ დეზობარიერზე;
- უნივერსიტეტის შენობაში, საგამოცდო ან/და ლაბორატორიულ აუდიტორიაში შესვლისას გაიარეთ თერმოსკრინინგი სპეციალურად გამოყოფილ ადგილას;
- საგამოცდო ან/და ლაბორატორიულ აუდიტორიაში შესვლისას დაიცავით მინიმუმ 2 მეტრიანი დისტანცია;
- საგამოცდო ან/და ლაბორატორიულ აუდიტორიაში შესვლისას დაიმუშავეთ ხელები აუდიტორიაში არსებული სადეზინფექციო სითხით;
- ლაბორატორიულ აუდიტორიაში პირბადესთან ერთად სავალდებულოა პირადი დაცვის სხვა საშუალებების გამოყენება, კერძოდ, ლაბორატორიული ხალათი, სათვალე, საჭიროების შემთხვევაში, ხელთათმანი და ბახილი;
- მოერიდეთ ხელის ჩამორთმევას და მეგობრების ხელით შეხებას;
- ხველისა და ცემინებისას აიფარეთ პირსა და ცხვირზე ერთჯერადი ცხვირსახოცი ან მოხრილი იდაყვი.

დაისავით დისტანცია
2
მეტრი
2
მეტრი
გაიხეთეთ პიჩბადე

ხელების წყლითა და საპნით დაბანის წესები

დაიბანეთ ხელები საპნითა და წყლით, ხოლო მათზე ხელმისაწვდომობის არქონისას გამოიყენეთ სპირტის შემცველი ხსნარი

პროცედურის საერთო ხანგრძლივობა: 40-60 წმ

0

დაისველეთ ხელები წყლით

1



ჩამოასხით ხელისგულზე საკმარისი საპონი ხელის ზედაპირების სრულად დასაფარად

2



გადაანანილეთ და შეიზილეთ თანაბრად ხელის გულებზე

3



მარჯვენა ხელისგულით დაიმუშავეთ მარცხენა ხელის ზურგი, თითების გადაჭდობით და პირიქით

4



ხელისგულები შეატყუპეთ და თითები გადააჭდეთ

5



თითის ზურგები დაიმუშავეთ მეორე ხელის მუჭში მოქცევით

6



მარცხენა ცერა თითი დაიმუშავეთ ნრიული მოძრაობით მარჯვენა მუჭით და პირიქით

7

მარჯვენა ხელის თითების ნინ და უკან ნრიული მოძრაობით მარცხენა ხელისგულზე და პირიქით

8



დაიბანეთ ხელები წყლით

9

გაიმშრალეთ ხელები ერთჯერადი ხელსახოცით

10



ონკანის დასაკეტად გამოიყენეთ ერთჯერადი ხელსახოცი

11



თქვენი ხელები უკვე უსაფრთხოა

World Health Organization

NCDC

GEORGIAN NATIONAL CENTER FOR DISEASE CONTROL AND PUBLIC HEALTH

მადაარჩინე სიცოცხლე
დაიბანე ხელები

NCDC.GE

ცხელი ხაზი: 116 001

ხელების დამუშავება სპირტის შემცველი ხსნარით

ხელების ჰიგიენისთვის გამოიყენეთ სპირტის შემცველი ხსნარი

პროცედურის საერთო ხანგრძლივობა: 20-30 წმ

1ა



1ბ



ჩამოასხით ხელისგულზე საკმარისი სპირტის შემცველი ხსნარი, ხელის ზედაპირების სრულად დასაფარად

2



გადაანაწილეთ და დაიმუშავეთ თანაბრად ხელისგულებზე

3



მარჯვენა ხელისგულით დაიმუშავეთ მარცხენა ხელის ზურგზი, თითების გადაჭდობით და პირიქით

4

ხელისგულები შეატყუპეთ და თითები გადააჭდეთ

5

თითის ზურგები დაიმუშავეთ მეორე ხელის მუჭში მოქცევით

6



მარცხენა ცერა თითი დაიმუშავეთ წრიული მოძრაობით მარჯვენა მუჭით და პირიქით

7



მარჯვენა ხელის თითების წინ და უკან წრიული მოძრაობით მარცხენა ხელისგულზე და პირიქით

8



გაიშრეთ ხელები

World Health Organization

NCDC

GEORGIAN NATIONAL CENTER FOR DISEASE CONTROL AND PUBLIC HEALTH

გადაარჩინე სიცოცხლე
დაიბანე ხელები

NCDC.GE ცხელი ხაზი: 116 001

SOP-04/2018

ლაბორატორიული აღჭურვილობის, მასალების და ზედაპირების
რუტინული დეკონტამინაცია

1. მიზანი

1.1. ეს სტანდარტული ოპერაციული პროცედურა აღწერს ლაბორატორიებში გამოყენებული დაბინძურებული აღჭურვილობის, მასალების და სამუშაო ზედაპირების ყოველდღიური და პერიოდული დეკონტამინაციის სტანდარტულ ოპერაციულ პროცედურებს.

1.2. SOP-ის საშუალებას იძლევა, შენარჩუნდეს უსაფრთხო სამუშაო გარემო, მინიმუმამდე იქნას დაყვანილი პერსონალის დაზიანების და დასნებოვნების რისკი, აგრეთვე თავიდან იქნას აცილებული ნიმუშების და მასალების კონტამინაცია.

2. ტერმინთა განმარტებები

SOP - სტანდარული ოპერაციული პროცედურა (Standart Operation Procedure) - არის ადამიანის მიერ განსახორციელებელ ქმედებათა ჩამონათვალი და წარმოადგენს კონკრეტული პროცესების დეტალურ ინსტრუქციას. SOP-ის მიზანია თავიდან იქნას აცილებული ადამიანის ჯანმრთელობის, გარემოს და ქონების დაზიანება.

PPE - პირადი დაცვის აღჭურვილობა (Personal Protective Equipment) - არის სპეციალური ინდივიდუალური აღჭურვილობა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის ჯანმრთელობის დაცვას სპეციალიზირებულ გარემოში.

BSL - ბიოუსაფრთხოების დონე (BioSafety Level) - უსაფრთხოების დონე, რომელიც აუცილებელია სახიფათო ბიოლოგიური აგენტების იზოლაციისათვის ლაბორატორიულ გარემოში.

BSC - ბიოუსაფრთხოების კაბინა (Biosafety Cabinet) - უსაფრთხოების შესაბამისი დონის დახურული, ვენტილირებადი ლაბორატორიული სამუშაო

სივრცე დაბინძურებული ან პოტენციურად დაბინძურებულ მასალებთან უსაფრთხოდ მუშაობისათვის.

კონტამინაცია - მიკროორგანიზმებით დაბინძურების პროცესი.

დეკონტამინაცია - მიკროორგანიზმების განადგურების პროცესი.

3. პერსონალის პასუხისმგებლობა

3.1. SOP-ის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირია:

3.1.1. სამეცნიერო ლაბორატორიები - ინსტიტუტის დირექტორი/ხელმძღვანელი.

3.1.2. სასწავლო ლაბორატორიები - სასწავლო ლაბორატორიის ხელმძღვანელი და ლაბორანტი.

3.1.3. არასასწავლო დანიშნულების ლაბორატორიები, რომლებიც არ შედიან რომელიმე ინსტიტუტის შემადგენლობაში - ლაბორატორიის/ერთეულის ხელმძღვანელი.

3.2. პასუხისმგებელმა პირმა უნდა განსაზღვროს პერსონალი ამ პროცედურების შესასრულებლად.

3.3. პასუხისმგებელი პირი ვალდებულია წაიკითხოს და შინაარსობრივად გაიაზროს მოცემული დოკუმენტი.

3.4. პასუხისმგებელი პირი ვალდებულია შექმნას უსაფრთხო სამუშაო/სასწავლო გარემო და ამ მიზნისათვის ლაბორატორია უზრუნველყოს ყველა საჭირო მასალით და აღჭურვილობით.

3.5. პასუხსიმგებელი პირი ვალდებულია ლაბორატორიის პერსონალს/სტუდენტებს გააცნოს და მოსთხოვოს SOP - ის მოთხოვნების შესრულება.

4. მასალები და აღჭურვილობა

4.1. სადეზინფექციო საშუალება სამუშაო კონცენტრაციით.

4.2. ქაღალდის ხელსახოცები.

4.3. ბიოლოგიურად საშიში ნარჩენების კონტეინერი.

4.4. ბასრი ნარჩენების კონტეინერი.

4.5. 70%-იანი ეთილის სპირტი (ეთანოლი).

4.6. ბიოუსაფრთხოების პარკები.

4.7. PPE.

5. დეკონტამინაციის ზოგადი პროცედურა

5.1. პირი, რომელიც ახორციელებს დეკონტამინაციის პროცესს აღჭურვილი უნდა იყოს პირადი დაცვის საშუალებებით და შესაბამისი კონცენტრაციის სადეზინფექციო ხსნარით.

5.2. დაბინძურებული ზედაპირები უნდა დამუშავდეს სადეზინფექციო ხსნარით, ხსნარის კონცენტრაციის სიძლიერე უნდა განისაზღვროს რისკის დონიდან გამომდინარე.

5.3. სადეზინფექციო ხსნარის გამოყენების შემდეგ ზედაპირები უნდა დამუშავდეს გამოხდილი წყლით, იმისთვის რომ მოშორდეს სადეზინფექციო ხსნარში არსებული აქტიური ნივთიერებები, რათა ხსნარმა არ გამოიწვიოს ზედაპირების კოროზია და პერსონალი ინტოქსიკაცია.

5.4. სამუშაო სადეზინფექციო ხსნარების დამზადება და განზავება უმჯობესია მოხდეს ყოველდღიურად მცირე პორციებად ხსნარის აქტიურობის შენარჩუნების მიზნით.

5.5. სადეზინფექციო ხსნარზე დატანილი უნდა იქნა ხსნარის დასახელება, დამზადების თარიღი, კონცენტრაცია და ვარგისანობის ვადა მწარმოებლის რეკომენდაციის შესაბამისად.

5.6. დეკონტამინაციის სამუშაოები აღირიცხება და ინახება შესაბამის ჟურნალში, შემდეგი პერიოდულობით: ყოველდღიურად და ყოველკვირეულად.

5.7. ჩანაწერებს ახორციელებს პასუხისმგებელი პირი და ჩანაწერების მონიტორინგს კი ახორციელებს უსაფრთხოების ოფიცერი.

6. ყოველდღიური დეკონტამინაცია

6.1. **ლაბორატორიული აღჭურვილობა** - ყველა ნივთის ზედაპირი უნდა დამუშავდეს შესაბამისი სიძლიერის სადეზინფექციო ხსნარით და შემდგომ გამოხდილი წყლით.

6.2. **სამუშაო ზედაპირები** - ლაბორატორიაში არსებული სკამები, სამუშაო და დამხმარე მაგიდები, BSC-ები უნდა დამუშავდეს სათანადო კონცენტრაციის სადეზინფექციო ხსნარით.

6.3. **მასალები** - ბიოუსაფრთხოების ყუთი, პიპეტების ჩასადები და სხვა, უნდა გაიწმინდოს სათანადო სიძლიერის სადეზინფექციო ხსნარით.

6.4. **ნარჩენები** - ყოველდღიური დეკონტამინაციის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენები უნდა მოთავსდეს ბიოლოგიურად საშიში ნარჩენების კონტეინერში და გაუვნებელყვდეს შესაბამის პროცედურების დაცვით.

6.5. ყოველდღიური დეკონტამინაციის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენები უნდა მოთავსდეს ბიოლოგიურად საშიში ნარჩენების კონტეინერში და გაუვნებელყვდეს შესაბამის პროცედურების დაცვით.

6.6. ინფორმაცია ჩატარებული დეკონტამინაციის სამუააოების შესახებ შეიტანება შესაბამის ჟურნალში.

7. ყოველკვირეული დეკონტამინაცია

7.1. ყოველი კვირის ბოლო სამუშაო დღეს ლაბორატორიის ყველა კარის და ფანჯრების, ავეჯის სახელურები უნდა გაიწმინდოს სათანადო სიძლიერის სადეზინფექციო ხსნარით.

7.2. დეზინფექციის პროცედურის შემდეგ ზედაპირები უნდა გაიწმინდოს გამოხდილი წყლით.

7.3. ლაბორატორიის იატაკი კვირაში ერთხელ უნდა მოიწმინდოს სათანადო სიძლიერის სადეზინფექციო ხსნარით.

7.4. ყოველკვირეული დეკონტამინაციის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენები უნდა მოთავსდეს ბიოლოგიურად საშიში ნარჩენების კონტეინერში და გაუვნებელყვდეს შესაბამის პროცედურების დაცვით.

7.5. ინფორმაცია ჩატარებული დეკონტამინაციის სამუშაოების შესახებ შეიტანება შესაბამის ჟურნალში.

ლაბორატორიის დეკონტამინაციის ჟურნალი

#	დეკონტამინაციის თარიღი	სადეზინფექციო ხსნარი %	ხელმოწერა	შენიშვნა
1.				
2.				
3.				
4.				
5.				
6.				
7.				

SOP-01/2018

პირადი დაცვის აღჭურვილობა (PPE)

1. მიზანი

სტანდარტული ოპერაციული პროცედურა (SOP) აღწერს პირადი დაცვის აღჭურვილობის (PPE) გამოყენების საჭიროებას, გამოყენებას, კონტროლსა და შენახვის წესებს;

იგი ეფუძნება რისკების შეფასებას და უზრუნველყოფს მათ მართვას.

2. ტერმინთა განმარტებები

SOP - სტანდარული ოპერაციული პროცედურა (Standart Operation Procedure) - არის ადამიანის მიერ განსახორციელებელ ქმედებათა ჩამონათვალი და წარმოადგენს კონკრეტული პროცესების დეტალურ ინსტრუქციას. SOP-ის მიზანია თავიდან იქნას აცილებული ადამიანის ჯანმრთელობის, გარემოს და ქონების დაზიანება.

PPE - პირადი დაცვის აღჭურვილობა (Personal Protective Equipment) - არის სპეციალური ინდივიდუალური აღჭურვილობა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის ჯანმრთელობის დაცვას სპეციალიზირებულ გარემოში.

BSL - ბიოუსაფრთხოების დონე (BioSafety Level) - უსაფრთხოების დონე, რომელიც აუცილებელია სახიფათო ბიოლოგიური აგენტების იზოლაციისათვის ლაბორატორიულ გარემოში.

BSC - ბიოუსაფრთხოების კაბინა (Biosafety Cabinet) - უსაფრთხოების შესაბამისი დონის დახურული, ვენტილირებადი ლაბორატორიული სამუშაო სივრცე დაბინძურებული ან პოტენციურად დაბინძურებულ მასალებთან უსაფრთხოდ მუშაობისათვის.

კონტამინაცია - მიკროორგანიზმებით დაბინძურების პროცესი.

დეკონტამინაცია - მიკროორგანიზმების განადგურების პროცესი.

3. პერსონალის პასუხისმგებლობა

6.1. SOP-ის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირია:

6.1.1. სამეცნიერო ლაბორატორიები - ინსტიტუტის დირექტორი/ხელმძღვანელი;

6.1.2. სასწავლო ლაბორატორიები - სასწავლო ლაბორატორიის ხელმძღვანელი და ლაბორანტი;

6.1.3. არასასწავლო დანიშნულების ლაბორატორიები, რომლებიც არ შედიან რომელიმე ინსტიტუტის შემადგენლობაში - ლაბორატორიის/ერთეულის ხელმძღვანელი.

6.2. პასუხისმგებელმა პირმა უნდა განსაზღვროს პერსონალი ამ პროცედურების შესასრულებლად.

6.3. პასუხისმგებელი პირი ვალდებულია წაიკითხოს და შინაარსობრივად გაიაზროს მოცემული დოკუმენტი.

6.4. პასუხისმგებელი პირი ვალდებულია შექმნას უსაფრთხო სამუშაო/სასწავლო გარემო და ამ მიზნისათვის ლაბორატორია უზრუნველყოს ყველა საჭირო მასალით და აღჭურვილობით.

6.5. პასუხსიმგებელი პირი ვალდებულია ლაბორატორიის პერსონალს/სტუდენტებს გააცნოს და მოსთხოვოს SOP - ის მოთხოვნების შესრულება.

4. მასალები და აღჭურვილობა

4.1. დამცავი სათვალე;

4.2. ერთჯერადი და მრავალჯერადი გამოყენების ლაბორატორიული ხალათები, სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე;

4.3. დამატებით დამცავი ტანსაცმელი - კომბინიზონი;

4.4. რესპირატორი, რისკის ტიპიდან გამომდინარე;

4.5. ნიტრილის ან ლატექსის ხელთათმანი;

4.6. მაღალი/დაბალი ტემპერატურისთვის განკუთვნილი ხელთათმანი;

4.7. მთლიანი სახის დამცავი ფარი;

4.8. ყურის საცობები;

4.9. რეზინის მაღალყელიანი ფეხსაცმელი;

4.10. ბახილები;

4.11. სადეზინფექციო საშუალება ნატრიუმის ჰიპოქლორიტი (საყოფაცხოვრებო მათეთრებელი) ან მისი ანალოგი.

5. პროცედურა

5.1. თვალების და სახის დაცვის სისტემა უზრუნველყოფს ლორწოვანი გარსების დაცვას პათოგენური მიკროორგანიზმების, ტოქსინების, ქიმიური ნივთიერებებისა და სხვა ფიზიკური საფრთხეებისგან;

5.2. დამცავი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი წარმოქმნის დამცავ ბარიერს, ლაბორატორიაში მომუშავე პერსონალსა და ბიოლოგიურ, ქიმიურ ან ფიზიკურ საფრთხეს შორის.

5.3. დამცავი ტანსაცმელი არჩეული უნდა იქნას საფრთხის ტიპის და ჩასატარებელ სამუშაოზე დაყრდნობით;

5.4. ხელთათმანები წარმოადგენს პირველად ბარიერს ადამიანსა და საფრთხეს შორის. ხელთათმანები არჩეული უნდა იქნას საფრთხის ტიპის და ჩასატარებელ სამუშაოს შესაბამისად;

5.5. სმენის დამცავის გამოყენება საჭიროა მაშინ, როცა ხმის წნევის დონე აღემატება დაშვებულს.

5.6. სპეციალური ფილტრით აღჭურვილი რესპირატორები იცავენ ფილტვებსა და ლორწოვან გარსებს საშიში მტვრისა და ორთქლისაგან. რესპირატორის კასეტები და ბალონები შექმნილია პოტენციურად საშიში ატმოსფერული მინარევებისგან დასაცავად.

6. ბიოლოგიური კვლევის ლაბორატორიებში საჭირო სტანდარტული PPE

6.1. ბიოუსაფრთხოების ოფიცერი ვალდებულია პასუხისმგებელ პირებს ჩაუტაროს სწავლება PPE-ის სწორად გამოყენებასთან დაკავშირებით;

6.2. ქვემოთ ჩამოთვლილი PPE-ის საგნები მინიმალურია, რაც მოითხოვება იმ ბიოუსაფრთხოების დონის შესაბამისად, სადაც ხდება მიკროორგანიზმებთან და მათ ტოქსინებთან მუშაობა;

6.3. მოთხოვნები BSL-1 დონის ლაბორატორიისადმი:

6.3.1. ლაბორატორიული სათვალე;

6.3.2. ლაბორატორიული ტანსაცმელი- ხალათი;

6.3.3. ლატექსის ან ნიტრილის ხელთათმანები;

6.4. მოთხოვნები BSL-2 დონის ლაბორატორიისადმი:

6.4.1. ლაბორატორიული სათვალე;

6.4.2. ლაბორატორიული ტანსაცმელი- ხალათი;

6.4.3. ლატექსის ან ნიტრილის ხელთათმანები;

6.4.4. დახურული ფეხსაცმელები.

7. PPE-ის გამოყენების კონტროლი

7.1. PPE- გაცემული უნდა იქნას პასუხისმგებელი პირის მიერ;

7.2. PPE-ის გამოყენებამდე პერსონალმა/სტუდენტებმა უნდა გაიარონ სწავლება და მიიღონ ინფორმაცია მისი საჭიროების და მნიშვნელობის შესახებ;

7.3. დაბინძურებული PPE არ უნდა იქნეს გატანილი ლაბორატორიიდან;

7.4. PPE-ის გადაყრა ან გარეცხვა უნდა მოხდეს დეკონტამინაციას წესების შესაბამისად;

7.5. გამონაკლისს წარმოადგენს PPE-ის ტარება ლაბორატორიებს შორის მასალის ტრანსპორტირებისას.

8. თვალებისა და სახის დაცვა. დამცავი საშუალების გამოყენების წესები

8.1. PPE- გაცემული უნდა იქნას პასუხისმგებელი პირის მიერ;

8.2. თუ ცნობილია, რომ პროცედურამ შეიძლება წარმოქმნას შხეფები და აეროზოლები, თვალის დამცავს უნდა დაემატოს სახის ფარი ცხვირისა და პირის დასაცავად;

8.3. დამცავი სათვალე უნდა ინახებოდეს სუფთა ადგილას, დაბინძურების რისკის შესამცირებლად ლაბორატორიაში უნდა იყოს სუფთა დამცავი სათვალეების საჭირო რაოდენობა;

8.4. დამცავი სათვალე ყოველი გამოყენების შემდეგ, მის შენახვამდე უნდა გაიწმინდოს სპეციალური ხსნარით.

9. PPE -ის გამოყენება და შენახვა

9.1. ლაბორატორიებში პერსონალი უნდა იყოს აღჭურვილი პირადი დაცვის საშუალებებით;

9.2. საჭიროების შემთხვევაში უფრო მაღალი დონის PPE-ის გამოყენება შესაძლოა მოთხოვნილ იქნას ბიოუსაფრთხოების ოფიცრის მიერ რისკის დონიდან გამომდინარე;

9.3. რისკის დონიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევაში უნდა მოხდეს PPE-ის დეკონტამინაცია/უტილიზაცია მოქმედი წესების მიხედვით;

9.4. დაუშვებელია PPE-ის განმეორებით გამოყენება ბიოუსაფრთხოების უფრო დაბალი დონის ლაბორატორიაში დეკონტამინაციის გარეშე;

9.5. რისკის დონიდან გამომდინარე ლაბორატორიაში და ტექნიკური მომსახურების არეში მომუშავე პერსონალს უნდა ეცვას ფეხსაცმელი, რომელიც უზრუნველყოფს ბიოლოგიური, ქიმიური და ფიზიკური საფრთხეებისგან ფეხის სათანადო დაცვას;

9.6. მაღალი ბიოლოგიური რისკის ლაბორატორიაში დაუშვებელია ღია ფეხსაცმლის გამოყენება;

9.7. ახალი დამცავი ფეხსაცმელი უნდა ინახებოდეს სუფთა ადგილზე, ლაბორატორიის გარეთ;

9.8. მიკროორგანიზმებთან, ბიოსაფრთხესთან, ბიოლოგიურ ტოქსინებთან, ქიმიურ ნივთიერებებთან და სხვა ფიზიკურ საფრთხეებთან მუშაობისას გამოყენებული უნდა იქნას სათანადო ტიპის ხელთათმანი;

9.9. ტემპერატურამედეგი ხელთათმანები გამოიყენება მაღალ და დაბალ ტემპერატურულ სუბსტანციებთან მუშაობისას (+700C და ზევით და -100C-დან ქვევით);

9.10. სავალდებულოა, გამოყენებამდე ხელთათმანები შემოწმდეს მთლიანობაზე;

9.11. გამოყენებისას ხელთათმანი უნდა ფარავდეს დამცავი ტანსაცმლის სახელოსა და მანჟეტს;

9.12. დაუშვებელია ერთჯერადი ხელთათმანის გარეცხვა ან მისი ხელახლა გამოყენება;

9.13. სმენის დამცავი საშუალებები უნდა ინახებოდეს ნესტისა და მაღალი ტემპერატურისგან დაცულ ადგილზე;

9.14. ინდივიდუალური რესპირატორული დამცავი მოწყობილობა გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ ერთი პირის მიერ- დაუშვებელია რესპირატორის საზიაროდ გამოყენება.

9.15. გამოყენების წინ რესპირატორი ვიზუალურად უნდა შემოწმდეს დაბინძურებაზე და ხილულ დეფექტებზე;

9.16. რესპირატორის გამოყენებისას შეამოწმეთ მისი ჰერმეტულობა;

9.17. უარყოფითი წნევის რესპირატორის გამოყენებისას დაუშვებელია წვერი და ულვაში, რადგან მან შეიძლება ხელი შეუშალოს სახეზე რესპირატორის ჰერმეტულად მორგებას;

9.18. დაუშვებელია დაზიანებული PPE-ის თვითნებურად შეკეთება;

9.19. PPE-ის დაზიანების აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართეთ პასუხისმგებელ პირს, შესაძლო რისკების თავიდან აცილების მიზნით;

9.20. თუ მწარმოებლის მიერ განსაზღვრულია PPE-ის ვარგისიანობის ვადა და სპეციალური შენახვის პირობები, პასუხისმგებელი პირი ვალდებულია გაითვალისწინოს ეს მოთხოვნები.

9.21. ვარგისიანობის ვადის გასვლისა და შენახვის პირობების დარღვევის შემთხვევაში დაუშვებელია PPE-ს გამოყენება.

SOP-05/2018

ზოგადი ჰიგიენის წესები ლაბორატორიაში

1. მიზანი

1.1. სტანდარტული ოპერაციული პროცედურა (SOP) აღწერს ზოგადი ჰიგიენის წესებს ლაბორატორიაში, რაც უზრუნველყოფს მომუშავე პერსონალის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვას.

2. ტერმინთა განმარტებები

SOP - სტანდარული ოპერაციული პროცედურა (Standart Operation Procedure) - არის ადამიანის მიერ განსახორციელებელ ქმედებათა ჩამონათვალი და წარმოადგენს კონკრეტული პროცესების დეტალურ ინსტრუქციას. SOP-ის მიზანია თავიდან იქნას აცილებული ადამიანის ჯანმრთელობის, გარემოს და ქონების დაზიანება.

PPE - პირადი დაცვის აღჭურვილობა (Personal Protective Equipment) - არის სპეციალური ინდივიდუალური აღჭურვილობა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის ჯანმრთელობის დაცვას სპეციალიზირებულ გარემოში.

BSL - ბიოუსაფრთხოების დონე (BioSafety Level) - უსაფრთხოების დონე, რომელიც აუცილებელია სახიფათო ბიოლოგიური აგენტების იზოლაციისათვის ლაბორატორიულ გარემოში.

BSC - ბიოუსაფრთხოების კაბინა (Biosafety Cabinet) - უსაფრთხოების შესაბამისი დონის დახურული, ვენტილირებადი ლაბორატორიული სამუშაო სივრცე დაბინძურებული ან პოტენციურად დაბინძურებულ მასალებთან უსაფრთხოდ მუშაობისათვის.

კონტამინაცია - მიკროორგანიზმებით დაბინძურების პროცესი.

დეკონტამინაცია - მიკროორგანიზმების განადგურების პროცესი.

3. პერსონალის პასუხისმგებლობა

3.1. SOP-ის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირია:

3.1.1. სამეცნიერო ლაბორატორიები - ინსტიტუტის დირექტორი/ხელმძღვანელი;

3.1.2. სასწავლო ლაბორატორიები - სასწავლო ლაბორატორიის ხელმძღვანელი და ლაბორანტი;

3.1.3. არასასწავლო დანიშნულების ლაბორატორიები, რომლებიც არ შედიან რომელიმე ინსტიტუტის შემადგენლობაში - ლაბორატორიის/ერთეულის ხელმძღვანელი.

3.2. პასუხისმგებელმა პირმა უნდა განსაზღვროს პერსონალი ამ პროცედურების შესასრულებლად.

3.3. პასუხისმგებელი პირი ვალდებულია წაიკითხოს და შინაარსობრივად გაიაზროს მოცემული დოკუმენტი.

3.4. პასუხისმგებელი პირი ვალდებულია შექმნას უსაფრთხო სამუშაო/სასწავლო გარემო და ამ მიზნისათვის ლაბორატორია უზრუნველყოს ყველა საჭირო მასალით და აღჭურვილობით.

3.5. პასუხსიმგებელი პირი ვალდებულია ლაბორატორიის პერსონალს/სტუდენტებს გააცნოს და მოსთხოვოს SOP - ის მოთხოვნების შესრულება.

4. მასალები და აღჭურვილობა

4.1. PPE- პირადი დაცვის აღჭურვილობა.

4.2. რისკის შეფასების საფუძველზე დამატებითი პირადი დაცვის აღჭურვილობა.

5. თმა და ვარცხნილობა

5.1. დაუშვებელია ლაბორატორიაში არალაბორატორიული თავსაბურავების (მათ შორის ქუდების) გამოყენება, ვინაიდან იქმნება კონტამინაციის საფრთხე.

5.2. სამუშაოების ჩატარებისას თმა უნდა იყოს შეკრული, რომ გამოირიცხოს თმების ჩამოვარდნის და მათი აალების საფრთხე სპირტქურის ალზე, ასევე მათი მოხვედრა სამუშაო ზედაპირებზე;

5.3. რისკის დონიდან გამომდინარე შესაძლებელია გამოყენებული იქნას, ერთჯერადი ლაბორატორიული ქუდი.

5.4. აკრძალულია თმებთან შეხება ხელთათმანებით, ვინაიდან არსებობს თმების მიკროორგანიზმებით დაბინძურების საფრთხე.

5.5. თუ თავსაბურავის ტარება სავალდებულოა რელიგიური მოტივით ასეთ შემთხვევაში დაშვებულია ერთჯერადი ტიპის თავსაბურავის გამოყენება.

6. ხელები და ფრჩხილები

6.1. ხელის და ფრჩხილის მდგომარეობამ ხელი არ უნდა შეუშალოს პირადი დაცვის აღჭურვილობის ტარებას და არ უნდა ქმნიდეს ხელთათმანის დაზიანების საფრთხეს და ინფექციის აღმოცენების შესაძლებლობას.

6.2. მუშაობის დაწყებამდე და ლაბორატორიის დატოვებამდე ხელები უნდა დაიბანოთ საპნით.

6.3. ღია ჭრილობების მქონე პირები არ დაშვებიან პათოგენურ და საპროფიტ მიკროორგანიზმებთან სამუშაოდ.

7. საყოფაცხოვრებო ტანსაცმელი

7.1. დაუშვებელია ლაბორატორული სამუშაოების დროს ქურთუკის ტარება.

7.2. ტანსაცმელი არ უნდა ქმნიდეს საფრთხეს ლაბორატორიული მუშაობისას.

7.3. ტანსაცმელმა ხელი არ უნდა შეუშალოს ლაბორატორიული ხალათის ჩაცმას და არ უნდა წარმოქმნას მისი დაზიანების საფრთხე.

7.4. დაუშვებელია ლაბორატორიული მუშაოებისას ჰალსტუხის, შარფის და სხვა ტიპის ჩამოკიდებული აქსესუარების ტარება, ვინაიდან ისინი ქმნიან კონტამინაციის პოტენციურ საფრთხეს, მათი ბოლოები შეიძლება მოხვდეს სამუშაო ზედაპირზე და სპირტქურასთან მუშაობისას არსებობს მათი აალების საფრთხე.

7.5. სათანადო რისკის შემთხვევაში (ამოფრქვევის, აეროზოლების გავრცელების საშიშროებისას) ტანსაცმელი სრულად უნდა ფარავდეს სხეულს რათა თავიდან იქნას აცილებული დამწვრობები და კანის სხვა დაზიანებები.

8. ფეხსაცმელი

8.1. მაღალი რისკის სამუშაოებისას ფეხსაცმელი უნდა ფარავდეს მთლიანად ტერფს რათა თავიდან იქნას აცილებული პერსონალის დაზიანების საფრთხე.

9. სათვალეები

9.1. დაუშვებელია ლაბორატორიაში მზის სათვალის გამოყენება;

9.2. ლაბორატორიაში ოპტიკური სათვალის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც საჭიროა მხედველობის კორექცია. ასეთ შემთხვევაში სათვალე მყარად უნდა იყოს მორგებული რათა გამოირიცხოს მისი ჩამოვარდნის რისკი.

9.3. რისკის დონიდან გამომდინარე შესაძლებელია აიკრძალოს კონტაქტური ლინზების გამოყენება ლაბორატორიული საქმიანობისას, ვინაიდან ამან შეიძლება გამოიწვიოს ქიმიური, ბიოლოგიური და ფიზიკური დაზიანების რისკის მომატება.

9.4. ლაბორატორიული მუშაობისას აკრძალულია დაბინძურებული ხელთათმანებით თვალის არესთან შეხება.

10. სამკაული და აქსესუარები

10.1. ლაბორატორიული სამუშაოებისას აკრძალულია ბეჭდის ტარება ვინაიდან ამან შეიძლება გამოიწვიოს პირადი დაცვის აღჭურვილობის მთლიანობის დარღვევა და პათოგენის მოხვედრა კანსა და ლორწოვან გარსებზე;

10.2. ლაბორატორიული სამუშაოებისას დაუშვებელია თავისუფლად დაკიდული სამკაულების გამოყენება, ასეთი სამკაული უნდა იყოს მოთავსებული ტანსაცმლის ქვეშ, რომ გამოირიცხოს მათი ჩამოვარდნის საფრთხე.

11. სხვა საშუალებები.

11.1. ლაბორატორიული სამუშაოების წარმოებისას აკრძალულია ჩანთების და სხვა მსგავსი აქსესუარების ტარება, რადგან იქმნება ამ აქსესუარების

კონტამინაციის რისკი. მსგავსი საგნები უნდა მოთავსდეს სამუშაო არესგან მოშორებით.

11.2. ლაბორატორიული სამუშაოების წარმოებისას აკრძალულია მობილური ტელეფონის და სხვა არალაბორატორიული მოწყობილობების (ყურსასმენები, პლანშეტები, ლეპტოპები და სხვა) გამოყენება, ვინაიდან იქმნება კონტამინაციის რისკი.

11.3. ყველა ასეთი საშუალება უნდა მოთავსდეს სამუშაო არესაგან მოშორებით.

SOP-03/2018

ლაბორატორიებში სახიფათო ნარჩენების მარკირების, შეგროვების და განადგურების წესები

1. მიზანი

1.1. ეს სტანდარტული ოპერაციული პროცედურა SOP აღწერს სახიფათო ნარჩენების მარკირების, შეგროვების და განადგურების წესებს.

1.2. ეს პროცედურა ეხება ყველა პირს, რომელსაც აქვს შეხება სახიფათო ნარჩენებთან და მონაწილეობს სახიფათო ნარჩენების განადგურების პროცესში.

1.3. ამ პროცედურის ნაცვლად სხვა რაიმე დოკუმენტის გამოყენება ითვლება შეუსაბამოდ.

2. ტერმინთა განმარტებები

SOP - სტანდარული ოპერაციული პროცედურა (Standart Operation Procedure) - არის ადამიანის მიერ განსახორციელებელ ქმედებათა ჩამონათვალი და წარმოადგენს კონკრეტული პროცესების დეტალურ ინსტრუქციას. SOP-ის მიზანია თავიდან იქნას აცილებული ადამიანის ჯანმრთელობის, გარემოს და ქონების დაზიანება.

PPE - პირადი დაცვის აღჭურვილობა (Personal Protective Equipment) - არის სპეციალური ინდივიდუალური აღჭურვილობა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის ჯანმრთელობის დაცვას სპეციალიზირებულ გარემოში.

BSL - ბიოუსაფრთხოების დონე (BioSafety Level) - უსაფრთხოების დონე, რომელიც აუცილებელია სახიფათო ბიოლოგიური აგენტების იზოლაციისათვის ლაბორატორიულ გარემოში.

BSC - ბიოუსაფრთხოების კაბინა (Biosafety Cabinet) - უსაფრთხოების შესაბამისი დონის დახურული, ვენტილირებადი ლაბორატორიული სამუშაო სივრცე

დაბინძურებული ან პოტენციურად დაბინძურებულ მასალებთან უსაფრთხოდ მუშაობისათვის.

კონტამინაცია - მიკროორგანიზმებით დაბინძურების პროცესი.

დეკონტამინაცია - მიკროორგანიზმების განადგურების პროცესი.

3. პერსონალის პასუხისმგებლობა

3.1. SOP-ის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირია:

3.1.1. **სამეცნიერო ლაბორატორიები** - ინსტიტუტის დირექტორი/ხელმძღვანელი.

3.1.2. **სასწავლო ლაბორატორიები** - სასწავლო ლაბორატორიის ხელმძღვანელი და ლაბორანტი.

3.1.3. **არასასწავლო დანიშნულების ლაბორატორიები**, რომლებიც არ შედიან რომელიმე ინსტიტუტის შემადგენლობაში - ლაბორატორიის/ერთეულის ხელმძღვანელი.

3.2. პასუხისმგებელმა პირმა უნდა განსაზღვროს პერსონალი ამ პროცედურების შესასრულებლად.

3.3. პასუხისმგებელი პირი ვალდებულია წაიკითხოს და შინაარსობრივად გაიაზროს მოცემული დოკუმენტი.

3.4. პასუხისმგებელი პირი ვალდებულია შექმნას უსაფრთხო სამუშაო/სასწავლო გარემო და ამ მიზნისათვის ლაბორატორია უზრუნველყოს ყველა საჭირო მასალით და აღჭურვილობით.

3.5. პასუხსიმგებელი პირი ვალდებულია ლაბორატორიის პერსონალს/სტუდენტებს გააცნოს და მოსთხოვოს SOP - ის მოთხოვნების შესრულება.

4. მასალები და აღჭურვილობა

4.1. PPE- პირადი დაცვის აღჭურვილობა.

4.2. დეზინფექტანტის სამუშაო ხსნარი შესაბამისი კონცენტრაციით.

4.3. პოლიპროპილენის სპრეის ბოთლი დეზინფექტანტისთვის.

4.4. პოლოპროპილენის სპრეის ბოთლი დისტილირებული წყლისათვის.

4.5. ბიოლოგიურად საშიში ნარჩენების კონტეინერი (BSC-II-ისთვის).

4.6. ბიოლოგიურად საშიში ნივთიერებების პაკეტები- პარკები.

4.7. პერმანენტული მარკერი.

4.8. მაღალი ტემპერატურისადმი მდგრადი ხელთათმანები

4.9. ლაბორატორიული ხალათი, წინ მყარი (რეცხვადი) ზედაპირით.

4.10. თვალის დამცავი საშუალებები.

4.11. ბასრი ნარჩენების კონტეინერი.

4.12. სტერილიზაციი ხარისხის კონტროლის ქიმიური ინდიკატორი.

4.13. სახიფათო ნარჩენების ერთჯერადი კონტეინერების შესანახი ნაგვის ყუთები.

4.14. ურიკები ან რეზერვუარები.

4.15. ავტოკლავი.

4.16. მაცივარი.

5. სახიფათო ნარჩენებთან მომუშავე პირების მოვალეობები

5.1. პასუხისმგებელი პირი ვალდებულია დანერგოს ეს პროცედურები და სახიფათო ნარჩენის განადგურებისათვის გამოჰყოს სათანადო კვალიფიციური პირი.

5.2. პროცედურის დაწყებამდე პირმა, რომელიც დაინიშნება სახიფათო ნარჩენების განადგურების პროცედურის შესასრულებლად, უნდა გაიაროს

შესაბამისი სწავლება, წაიკითხოს და შინაარსობრივად გაიაზროს შესაბამისი დოკუმენტი.

6. სახიფათო ნარჩენებთან მომუშავე პირების უსაფრთხოების სპეციფიური მოთხოვნები და მოვალეობები.

სახიფათო ნარჩენებთან მომუშავე პირი ვალდებულია:

6.1. დაიცვას ყველა მოქმედი რეგულაცია და წესი.

6.2. დაიცვას უსაფრთხოების ყველა ზომა და აღჭურვილ იყოს შესაბამისი პირადი დაცვის საშუალებებით.

6.3. გაეცნოს და იმუშაოს უსაფრთხოების წესების შესაბამისად.

7. ბასრი ნარჩენების შეგროვება დახარისხება

7.1. ბასრი საგნები არის ნივთები, რომელთაც აქვთ მჭრელი ან მჩხვლეტავი ზედაპირები - ნემსები, ჰიპოდერმული ნემსები, სკალპელები და დანები, საინფუზიო სისტემების კათეტერები და ნემსები, ხერხები, გატეხილი ამპულები და წამლის შუშები, პიპეტები, ლურსმნები და სხვა.

7.2. ბასრი საგნები, მიუხედავად იმისა, დაბინძურებულია თუ არა ბიოლოგიური სითხეებით, განიხილება სახიფათო ნარჩენებად.

7.3. ბასრი საგნები უნდა მოთავსდეს ბასრი საგნების შესანახ კონტეინერში.

7.4. გატეხილი მინის ჭურჭელი უნდა მოთავსდეს გაჟონვისა და ჩახვრეტისადმი მდგრად ერთჯერად კონტეინერში.

7.5. გამოყენებული შპრიცები ბასრი საგნების კონტეინერში თავსდება ყოველგვარი დამატებითი კონტაქტის გარეშე. დაუშვებელია გამოყენებული

შპრიცისა და ნემსის ერთმანეთისგან განცალკევება, ნემსისთვის თავსახურის ჩამოცმა, ნემსის გაღუნვა, გადაჭრა და ქიმიური დამუშავება.

7.6. ნებისმიერი ნემსი, შპრიცის გარეშე, მიუხედავად იმისა, დაბინძურებულია თუ არა ბიოლოგიური სითხეებით წარმოადგენს დაზიანების პოტენციურ წყაროს და უნდა მოთავსდეს ბასრი ნარჩენების კონტეინერში.

7.7. პათოლოგიურ-ანატომიური ნარჩენები, რომელიც შედგება ცხოველების ქსოვილების, ორგანოების, სხეულის ნაწილების, სისხლის, სხეულის სითხეებისა, ჩატარებული ოპერაციისა და აუტოფსიის ნარჩენებისგან ითვლება სახიფათოდ ნარჩენებად და მათი დაწესებულებიდან გატანა უნდა მოხდეს შესაბამისი წესების მიხედვით.

7.8. არასახიფათო ანუ საერთო სამედიცინო ნარჩენები უნდა შეგროვდეს ერთჯერად პაკეტებში ან მრავალჯერადი გამოყენების მყარ ჭურჭელში, რომელიც 2/3-ით შევსებისთანავე უნდა გადაიტვირთოს შესაბამის შემკრებ კონტეინერებში.

7.9. მრავალჯერადი გამოყენების ტარა ნარჩენებისგან დაცლის შემდგომ საჭიროებს აუცილებელ რეცხვასა და დეკონტამინაციას.

8. ნარჩენების შეფუთვა

8.1. სახიფათო ნარჩენები უნდა განცალკევდეს ბიოლოგიურ, ქიმიურ და საყოფაცხოვრებო ნარჩენებად.

8.2. საშიში ნარჩენების კონტეინერები, მათ შორის ბასრი საგნების კონტეინერები უნდა იყოს შევსებული არაუმეტეს სამი მეოთხედისა. მას შემდეგ, რაც ეს დონე მიიღწევა, ისინი უნდა დაილუქოს და გამზადდეს გასატანად.

8.3. ნარჩენების შესაგროვებელი პარკები არ უნდა იყოს სტეპლერით შეკრული მას უნდა გაუკეთდეს პლასტიკური შესაკრავი ან საყელო.

8.4. სათადარიგო პაკეტები ან კონტეინერები უნდა იყოს ნარჩენების შეგროვების თითოეულ ადგილთან ისე, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იყოს მათი დაუყოვნებლივ შეცვლა.

8.5. არაწვადი ნარჩენები (მეტალის ნემსები, მინის ჭურჭელი, სხვა მდგრადი ნივთები) უნდა შეინახოთ საინსინერაციო ნარჩენებისგან განცალკევებულად.

8.6. სახიფათო ნარჩენები უნდა შეიფუთოს დასალუქ, ერთჯერად ჩხვლეტისადმი მდგრად კონტეინერებში და მოინიშნოს იარლიყით "ბიოლოგიურად საშიში ნარჩენები".

8.7. დეკონტამინირებული - ინსინერაციისათვის გამზადებული ნარჩენები უნდა შეგროვდეს დასალუქ კონტეინერებში და მასზე დატანილი უნდა იქნას სახიფათო ნარჩენების კონტეინერზე დასატანი ინფორმაცია.

8.8. თუ ინსინერაცია შეუძლებელია ერთი დღის განმავლობაში, ნარჩენები მისი ტიპიდან გამომდინარე უნდა მოთავსდეს მაცივარში, საყინულეში, ან იზოლირებულ სივრცეში ჩხვლეტისადმი მდგრად კონტეინერებში.

9. ნარჩენების ტრანსპორტირება

9.1. დაუშვებელია სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების შერევა შეგროვების, შენახვისა და ტრანსპორტირების დროს.

9.2. ლაბორატორიაში დაგროვილი სახიფათო ნარჩენების შეგროვება უნდა მოხდეს ცენტრალიზებული გზით. სამეცნიერო ლაბორატორიებში საჭიროებიდან გამომდინარე, ხოლო სასწავლო ლაბორატორიებში არანაკლებ კვირაში ერთხელ.

9.3. სახიფათო ნარჩენების მოძრაობა უნდა მოხდეს იზოლირებული ლიფტით და შესაბამისი პირადი დაცვის აღჭურვილობით, ნიმუშების კონტეინერებით და ურიკებით.

9.4. სახიფათო და არასახიფათო მასალის გატანამდე, ლაბორატორიამ უნდა უზრუნველყოს ნარჩენების პირველადი დეკონტამინაცია და შემდგომი მომზადება ტრანსპორტირებისათვის - მასალების სეპარირება სახიფათო და არასახიფათო, ერთჯერადი და მრავალჯერადი გამოყენების ტიპის მიხედვით.

9.5. დაუშვებელია სხვადასხვა ტიპის ნარჩენების შერევა შეგროვების და/ან დროებითი შენახვის რომელიმე სტადიაზე.

10. ნარჩენების განადგურება- ავტოკლავირება

10.1. სახიფათო ნარჩენები ტიპის მიხედვით ექვემდებარება დეკონტამინაციას ინსინერაციის ან ავტოკლავირების გამოყენებით.

10.2. ბასრი ნარჩენები ექვემდებარება დეკონტამინაციას და შემდგომ განთავსებას სახიფათო ნარჩენებთან ერთად.

10.3. დაუშვებელია ინსინერაციის ან ავტოკლავირებით გაუვნებელყოფისთვის განკუთვნილი სახიფათო ნარჩენების ქიმიური დეზინფექცია. ეს უკანასკნელი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ უკიდურეს და ერთეულ შემთხვევაში ინსინერაციის ან ავტოკლავირების ხელმიუწვდომლობისას.

11. ნარჩენების საბოლოო განადგურება- ინსინერაცია

11.1. ავტოკლავირებით დეკონტამინირებული ნარჩენები ექვემდებარება ინსინერაციას.

11.2. ინსინერაციისათვის განკუთვნილი ნარჩენები ინახება შესაბამის კონტეინერებში და მათზე დატანილ უნდა იქნას ინფორმაცია სახიფათო ნარჩენების შესახებ.

სახიფათო ნარჩენების კონტეინერზე დასატანი ინფორმაცია

ლაბორატორია:----------

პასუხისმგებელი პირი:----------

თარიღი: (რ/თ/წ)----/--------/----------

ნარჩენის აღწერა:

ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული საგანგებო სიტუაციების სამოქმედო გეგმა

2020

1. შესავალი

აღნიშნული გეგმა განსაზღვრავს ორგანიზაციის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ეფექტურ მიმართულებებს და ღონისძიებებს. ასევე, მართვის პროცესის განხორციელების სტანდატული ოპერეაციების პრიცედურებს (SOP).

გეგმის მიზანია საგანგებო სიტუაციების პრევენციის და მისი განვითარების შემთხვევაში შედეგების შერბილებისა და ლიკვიდაციის ღონისძიებების ალგორითმი და შესაბამის პირთა კოორდინირებული ქმედებების უზრუნველყოფა.

2. სამოქმედო გეგმის არეალი და განხორციელების ღონისძიებები

ქვეყანაში ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) საფრთხის პირობებში უსაფრთხო სამუშაო პრაქტიკის განხორციელების ღონისძიებების შემუშავების მიზნით შემუშავდა საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა, კერძოდ;

2.1 შენობაში შემოსვლისას, ვიზიტორთა ნაკადების მონიტორინგის, მათი მდგომარეობის სკრინინგისა და ნაკადების მართვის მიზნით:

2.1.1.უნივერსიტეტის შესასვლელად განსაზღვრულია კონკრეტული შეზღუდული რაოდენობის შესასვლელები ნაკადების კონტროლისათვის.

2.1.2 შესასვლელში ხდება ვიზიტორთა ნაკადების თერმოსკრინინგი, ხელების დამუშავება სპეციალური ხსნარით და მათ მიერ ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების ვიზუალური ვერიფიკაცია, შესაბამისი პერსონალის მიერ.

2.1.3 თერმოსკრინინგის დროს გამოვლენილი ცხელების (37.2 ^{0}C ზე ზევით) არსებობისას, მოხდება პირის იდენტიფიცირება, მისი იზოლაცია გარშემომყოფთაგან სპეზიალურად გამოყოფილ ოთახში და აღნიშნული გარემოების შესახებ შესაბამისი სამსახურისთვის - საგანგებო სიტუაციების სამსახურის 112-ის შეტყობინება, შემდგომი საინფორმაციო თანაშრომლობა ეპიდემიოლოგიურ სამსახურებთან.

2.2. სამუშაო დღის განმავლობაში, უნივერსიტეტის ლაბორატორიებში განხორციელებული თერმოსკრინინგის დროს გამოვლენილი ცხელების (37.2 ^{0}C ზე ზევით) არსებობისას:

2.2.1 ფაქტის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება სასწავლო ლაბორატორიების ხელმძღვანელს

2.2.2 დაუყოვნებლივ მოხდება პირის იზოლირება ამ მიზნებისათვის გამოყოფილ სპეციალურ ოთახში

2.2.3 საგანგებო სიტუაციების სამსახურის 112-ის ინფორმირება და პირის შესახებ პირველადი ინფორმაციის გადაცემა

2.2.4 საეჭვო გარემოებების მქონე პირის სავარაუდო კონტაქტების იდენტიფიცირების შემდეგ, მოხდება სავარაუდო კონტაქტების იზოლირება.

2.2.5 განხორციელებული მოკვლევის საფუძველზე დეზინფექცია განხორცილდება ყველა იმ ლოკაციაზე, რომელთანაც შეხება ჰქონდა საეჭვო გარემოებების მქონე და მასთან კონტაქტში მყოფ პირებს.

2.2.6. განხორციელდება შემდგომი საინფორმაციო და მოკვლევითი თანაშრომლობა ეპიდემიოლოგიურ სამსახურებთან.

2.3 იმ შემთხვევაში თუ უნივერსიტეტში ვიზიტის შემდგომ პირს აღმოაჩნდება ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექცია (COVID ' 19):

2.3.1 დაუყოვნებლივ განხორციელდება საგანგებო სიტუაციების სამსახურის 112-ის ინფორმირება

2.3.2 აღნიშნული ინფორმაცია ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიეწოდება სასწავლო ლაბორატორიების ხელმძღვანელს

2.3.3 გამოკითხვის შედეგად დადგინდება ამ პირის ადგილსამყოფელი მისი უნივერსიტეტში ყოფნის პერიოდში

2.3.4 ეპიდემიოლოგიურ სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობით, მოხდება COVID ' 19 დადასტურებული კონტაქტების იდენტიფიცირება

2.3.5 განხორციელდება ზემოაღნიშნული მოკვლევის შედეგად გამოვლენილი ლოკაციების დეზინფექცია.

2.3.6 განხორციელდება შედმგომი საინფორმაციო და მოკვლევითი თანაშრომლობა ეპიდემიოლოგიურ სამსახურებთან.

2.4 იმ შემთხვევაში თუ ადგილზე ვითარდება 2.2 და 2.3 პუნქტით გათვალისწინებული გარემოება, ეპიდემიოლოგებთან კონსულტაციის საფუძველზე და კონტაქტების რაოდენობიდან გამომდინარე შესაძლებელია გამოცხადდეს სანიტარული დღეები ან/და საკარანტინო ზონები შენობაში.

3. უნივერსიტეტის პერსონალის და სტუდენტების სწავლება

უნივერსიტეტის პასუხისმგებელი პირების, პერსონალისა და სტუდენტების ინფორმირება და ტრენინგი ითვალისწინებს მათთვის საგანგებო სიტუაციების დროს ქცევის წესების გამომუშავებასაც.

სამუშაო ადგილზე პირი არ დაიშვება ტრენინგის გარეშე.

უნდა ჩატარდეს საგანგებო ვითარების სხვადასხვა შემთხვევის სიმულაცია.

უნივერსიტეტის პასუხისმგებელი პირების, პერსონალისა და სტუდენტების ტრენიგი ხდება უშუალოდ ადგილზე, სულ მცირე თვეში ერთხელ.